„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-2/3, 25.11.2024) განხილვის გრაფიკი

1. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა (გარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა), საპარლამენტო ფრაქციებმა, უფრაქციო პარლამენტის წევრებმა, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილონ და შესაბამისი დასკვნები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს არაუგვიანეს მიმდინარე წლის **3 დეკემბრისა.**

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არაუგვიანეს მიმდინარე წლის **3 დეკემბრისა** საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს დასკვნა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა – დასკვნა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა სხდომა გამართოს, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილოს და სხვა კომიტეტების, საპარლამენტო ფრაქციების, უფრაქციო პარლამენტის წევრების, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნების განხილვისა და შეფასების, აგრეთვე საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების საფუძველზე მოამზადოს საბოლოო დასკვნა არაუგვიანეს მიმდინარე წლის **4 დეკემბრისა.**

4. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა თავისი დასკვნა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის **4 დეკემბრისა.**

5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ გადაცემული დასკვნა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას არაუგვიანეს მიმდინარე წლის **4 დეკემბრისა.**

6. საქართველოს მთავრობამ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს არაუგვიანეს მიმდინარე წლის **6 დეკემბრისა.**

7. „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის დღესვე დაეგზავნოს საქართველოს პარლამენტის კომიტეტებს, საპარლამენტო ფრაქციებს, უფრაქციო პარლამენტის წევრებს, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

8. საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის გადამუშავებული პროექტი განიხილოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის **13 დეკემბრისა.**